საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030164603382017

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3385 **20** / იანვარი / **2017 წ.**

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის
მოადგილეს
ბატონ თენგიზ აბაზაძეს

ბატონო თენგიზ,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა თქვენი 26.12.2016 N04/93265 წერილი, მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით მივმართეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს. მიღებული საპასუხო წერილების ანალიზისა და კონსულტაციების საფუძველზე წარმოგიდგენთ ჩვენს პოზიციას:

იმ შემთხვევაში თუ „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილებით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი ოჯახი ამავროდულად წარმოადგენს „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს N418 დადგენილებით მოსარგებლე ოჯახს და წარმოეშობა ელექტროენერგიის ორი შეღავათით სარგებლობის უფლება, სახელმწიფოს მხრიდან უნდა დაფინანსდეს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პირთათვის გათვალისწინებული შეღავათი, მით უფრო, რომ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების ვალდებულება დადგენილია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

რაც შეეხება მოხმარებული ელექტროენერგიის ასანაზღაურებელი საფასურის გაანგარიშების ტარიფს, ყველა აბონენტთან ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ანაზღაურება განხორციელდეს პირველი საფეხურის ტარიფით შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის № 381 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გთხოვთ, უმოკლეს ვადაში, მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

ასევე, გიგაზვნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან მიღებული წერილის ასლებს.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნინო ოდიშარია